№ 44 20 აპრილი, ქვირა 1866—1875 20 აპრილი, ქვირა № 44

რედაქცია

მოლნინის (აბას-აბატის) მაედანზე, ულორლანოვის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.

გაზეთის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში— 4 მან. და 50 კაპ., თვეში—1 მან.

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

დროება

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანგულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე—8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ. 5 კაპ., პეტიტით—4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშაბათს, 22 აპრილს

თფილისის საზაფხულო თეატრში იქნება ქართული

ლიტერატურო და მუზიკალური

საღამო

მონაწილეობას მიიღებენ შემდეგნი პირნი:

ხ. აბგარიანცი, აკაკი, ნ. ზ. ახვლედიანი, ი. დანდურეოვი, რ. დ. ერისთავი, პ. ი. უმიკაშვილი, დ. ი. ყიფიანი, ზ. ი. ჩიქოანი, და ი. ზ. ჭავჭავაძე. უფრო დაწვრილებით შეტყობა აფიშებით შეიძლება.

საქართველო

მუდამ ცალ-ცალკე, თუ ერთად?

საფრანგეთის მყუდროება, ვერსალის ნაციონალური კრების დაშლა 10-ს მაისამდის და საზოგადო პოლიტიკის უმნიშვნელობა ამ ჟამად მაძლევს შემთხვევას, უძღვნა ეს წერილი ჩვენი ქვეყნის შინაურ მდგომარეობასა.

როგორც გაზეთებიდამ შევიტყე, თფილისის თავად-აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკი გაუხსნიათ და ამდენ ხანს კიდეეაც თავის ოპერაციებს დაიწყებდა. ამ ყველასთვის სასარგებლო განზრახვის სისრულეში მოყვანა სასიამოვნო მოვლენაა ჩვენს ცხოვრებაში. ერთმანერთის დახმარება და შემწეობა და თანაგრძნობა საერთო საქმეში იმას მოასწავებს, რომ ჩვენთვის დადგა ის დრო, როცა ჩვენს ნაკლულოვანებას თვით ჩვენ ვგრძნობთ. ბეწვადის და ესცდილობთ საქვეყნო ასპარეზზე გამოსელას.

ბევრი ხანია, რაც ძილში ვატარებთ დროს. ეს პირველი საერთო მოძრაობა გამოღვიძების ნიშანია და ვისურვოთ, რომ სხვა საერთო საქმეებსაც ამ ნაირი კეთილი ბოლო მისცემოდეს და მარტო ბანკით არ გათავდეს საქმე.

როგორც ცუდს აგრეთვე კეთილ მოვლენებას თავის წამბაძველი ჰყავს: თფილისში ბანკის გამართვის განზრახვამ ქუთაისის გუბერნიაც გამოაღვიძა და მოიყვანა მოძრაობაში. შემდეგ სხვა და სხვა სპეკულანტებისა და გაიძვერებისა როგორც იქნა ბანკის წესდება შეადგინეს, საზოგადოებამ მიიღო და ეხლა, როგორც ამბობენ, წარდგენილია დასამტკიცებლათ სადაც საჭიროა. მაშასადამე იმედია, რომ ქუთაისელებსაც მალე ეღირსოს ბანკი.

ძარგი და კეთილი ბანკები დაარსდება; ვისაც გირაო აქვს და მუშაობა უნდა, კრედიტი გაეხსნება და ფულს მიიღებს; ფული მოხმარდება მიწის ანუ სხვა და სხვა ნაირ ფაბრიკაციულ შემუშავებას; მიწა უფრო ნაყოფს მისცემს, ვინემ ეხლა; მიწას ფასი მოემატება; მუშაობა გაცხარდება; შემოვა ხმარებაში სამეურნეო და ფაბრიკული მაშინები; ღატაკს და მშიერს შეეძლება მუშაობის შოვნა და ამითი თავის რჩენა; მწარმოებლების ჯიბე გასუქდება, და ბოლოს როცა უსაჭიროესი მოთხოვნილება დაკმაყოფილებული იქნება, განათლების და ესტეტიკური მხრის დაკმაყოფილებასაც მოინდომებენ... ერთის სიტყვით, რაღა ბევრი განგრძელება უნდა, შემდეგ რამოდენიმე ხნისა ჩვენი ქვეყანა მიეცემა სრულს განცხრომას და შეიძლება ევროპასაც არ ჩამოუდგეს უკან...

აი, რა მშვენიერ ფანტაზიურ სურათს დასახავს სუსტ თავში ეს პირველი საზოგადო კომერციული ოპერაცია ჩვენში. რამდენათ მართალია ეს ფანტაზია, ეს თვით მკითხველმა გაშინჯოს,—მე მხოლოდ დაუმატებ, ნურავინ მოტყუვდება მით, რომ ჩვენს ქვეყანას მარტო ბანკებმა უშველოს და მოუტანოს ყველა ის სარგებლობა და მოთხოვნილების დაკმაყოფილება, რაც ჩვენთვის საჭიროა...

მე სრულიად არ მაქვს სახეში საზოგადოთ ბანკი ანუ ბანკის ოპერაციები; სულ სხვა საგანზე მსურს ლაპარაკი, და ბანკი, ამ შემთხვევაში, არის მხოლოდ საშუალება იმ მიზნისათვის, რომლის მიღწევა უნდა იყოს ყველა მამულის მოყვარესათვის საინტერესო და საწადელი...

ვისაც ცოტათი მაინც, არა თუ შეუსწავლია, არამედ გაუგონია ჩვენი ძველი ისტორიული მოთხრობები, ცხადათ დაინახავდა, რომ ყოველთვის ჩვენი უბედურების, დაცემულობისა და დამარცხების მიზეზი ყოფილა ჩვენი განცალკევება, ერთმანერთის უცნობლობა, მტრობა და შური ერთმანერთში. ამას დამტკიცება არ უნდა.

ეს ძველი შური, განცალკევება ისე ჩანერგულა ჩვენს სისხლში, რომ ეხლაც იმ მდგომარეობაში ვართ, როგორშიაც იყვნენ ჩვენი წინაპარნი მე-XV და XVI საუკუნეში. ეხლაც ქართლ-კახელები მეგრელებსა და იმერლებს ვერ იცნობენ და თავიანთ ძმებათ არა სთვლიან, აგრეთვე თავის რიგათ იმერლები და მეგრელები ქართლელ-კახელებსა. ამ სასირცხო და სამწუხარო მდგომარეობას დრო არის, რომ ბოლო მოეღოს. ჩვენ ერთობა რომ გვქონოდა განა ასე დავეცემოდით? განა ჩვენთვის სასირცხო არ არის, რომ ჩვენი ისტორია, ჩვენი მდგომარეობა სხვებმა ჩვენზე უკეთ იციან? არა თუ უკეთ, ჩვენ სულ არა ვიცით რა.

როდემდის უნდა ვიყოთ ამ მდგომარეობაში? დრო და ჟამი გამოიცვალა, გარეშე მტრები აღარ გვაწუხებენ. ახლა მაინც დრო არის, რომ დავფიქრდეთ ჩვენს მდგომარეობაზე, ერთმანერთი გავიცნოთ, ძმობის და ერთობის ხელი მივცეთ ერთმანეთს; დრო არის, ქართველობა ერთ ოჯახათ გახდეს.

ქმარა ამდენი ხნის დაუდევნელობა და ძილი. მივსცეთ დავიწყებას წასულ დროების უთანხმოება. ვიფიქროთ მომავლისათვის. ჩვენი ბედი და უბედურება, ძალა და სიმხნევე ერთობაშია. ერთი კარგი შემთხვევა გვაქვს ჩვენ ეხლა ერთობისა — ეს საადგილ-მამულო ბანკი. ბანკი გაიხსნა თფილისში, ბანკს ხსნიან ქუთაისში; განა არ შეიძლება, რომ შეერთდეს ეს ორი ბანკი ერთად? ამ მატერიალური ინტერესების შეერთება იქნება პირველი თესლი განცალკევებული ძმების ერთობისა, პირველი საფუძველი ახალი შენობისა. ჩვენის დაუდევნელობით ეხლა მაინც ნუ გაუშვებთ ამ შემთხვევას ხელიდამ!

დასამტკიცებლად მისა, თუ რა ნაირი სარგებლობის მოტანა შეუძლიან ამ ბანკების შეერთებას, მომყავს შემდეგი მოკლე შენიშვნები:

1) ნებით თუ უნებურათ, მიუცილებლათ გვექნება ერთმანერთში მისვლა-მოსვლა და გაცნობა; შევიტყობთ ერთმანერთის მდგომარეობას, სურვილს და მოლოდინებას, გავიცნობთ ერთმანეთის სოციალურ მდგომარეობას და მორალურ ძალას, და რასაკვირველია საერთო ინტერესებსაც რიგიანათ და მკვიდრათ დავიცავთ.

2) ჩვენმა ქვეყანამ თავის ღეოლრაფიული მდებარეობით და ბუნების სიმდიდრით მიიქცია ყურადღება უცხო ქვეყნების კაპიტალისტებისა და მწარმოებლებისა. არ ვაივლის ხუთი-ათი წელიწადი, რომ არ დაარსდეს ჩვენში სხვა და სხვა კომერციული და საადგილ-მამულო ბანკები, თუ სხვა და სხვა კომერციული წარმოება. ჩვენ ისეთს მდგომარეობაში ვართ ეხლა, რომ ჩვენის შეძლებით და განათლებით ქიშპობას (კონკურენციას) ვერ გაუწევთ იმათ და ჩვენი ყოფა-ცხოვრება იმათ ხელში გადავა უეჭველათ. ბანცალკევებული ბანკები ვერას დაგვეხმარება: მიწებს იქ დავაგირავებთ, სადაც უფრო ადვილათ და ცოტა სარგებლით ვიშოვით ფულს; მაშასადამე ჩვენს ბანკებს მოაკლდება დამგირავლები, ბანკების ოპერცია შემოკლდება, გირაო ფურცლებს ფასი დაეკარგება, და მასთან ბანკებსაც როგორც საზოგადოებისაგან, აგრეთვე ბანკირებისაგანც რწმუნება დაეკარგება, და ერთს მშვენიერ დილას შევიტყობთ გაზეთებიდან, რომ თავად-აზნაურობამ არა-ჩვეულებრივ კრებაში მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება: „რადგანაც ბანკებს (თფილისის და ქუთაისისას) დღეის იქით სიცოცხლე არ შეუძლიანთ (აქ იქნება მოყვანილი ურიცხვი მიზეზები), ამის გამო ინიშნება ესა და ეს დღე მოსახდენელათ ბანკების ლიკვიდაციისა“.

ეს ბოლო ექნება ბანკებს, თუ ცალ-ცალკე დარჩნენ. თუ კი შეერთდა ეს ორი ბანკი, მაშინ ფულათ-ფული ამ შეერთებულ ბანკებს ექნება თითქმის რვა ას ათას მანეთამდინ. რვა-ას ათასი მანეთი ისეთი სათაენო კაპიტალია, რომელთან მეტრობა ასე ადვილი არ არის. ჭკვიანი და გამოცდილი ბანკის მოთავე ისე რიგათ წაიყვანს საქმეს, რომ მილლიონებიც ვერას დაგვაკლებს. ბანკს შეეძლება კონკურენციის გაწევა სხვა ბანკებთან და აგრეთვე სესხის სარგებლის მოკლებაც და ზოგიერთი შემსუბუქებაც დამგირავებლებისათვის შესაძლო იქნება.

3) ხარჯი ანუ გასავალი ბანკის მართველობაზე და ოპერაციებზე შემოკლდება. აი, რანაირათ: ეხლა თფილისის ბანკსა ჰყავს ერთი ბანკის მართველი, ორი დირექტორი და მგონია ათამდის ბანკის ზედამხედველი. თუ შეერთდა ბანკები, ჩემის ჰაზრით, საკმაო იქნება: ერთი ბანკის გამგებელი, ორი დირექტორი, ე. ი. ერთი ქართლ-კახეთიდან და ერთი იმერეთიდამ, და ათი ბანკის ზედამხედველი, ხუთი ქართლ-კახეთიდან და ხუთი იმერეთ-სამეგრელოდან. რაც შეეხება დამფასებლებს, ყოველ უეზდიდან უნდა იქნეს თითო ამორჩეული თავის კანდიდატებით, როგორც ეხლაა თფილისის გუბერნიაში. აგრეთვე ორი კანცელარიის მაგიერ იქნება ერთი და მოსამსახურეები რაც

ეხლა ჰყავს ტფილისის ბანკს, ორივე შეერთებული ბანკისათვის სრულიად საკმაოა. ამ ანგარიშით გასავალი თითქმის განახევრდება.

თქმა არ უნდა, რომ შეერთება ბანკებისა უნდა მოხდეს ტფილისში, ე. ი. ქუთაისის ბანკი უნდა შეუერთდეს. ტფილისი როგორც წარსულ დროებში იყო, აგრეთვე მომავალშიაც უნდა იქნეს შემაერთებელ წერტილათ ჩვენის კავშირისა. ეხლაც ცენტრია ჩვენის ცხოვრებისა, როგორც მატერიალურის მხრით, აგრეთვე განათლებით...

არ მგონია, რომ ამ ჩემი წინადადების წინააღმდეგნი იქნენ, ვისაც სამშობლოს ბედნიერება სურს; იქნებიან მხოლოდ ისინი, ვისთვის პირადი სარგებლობა და პირადი ანგარიში სიცოცხლის მიზანია.

წინათვე ვიცი, თუ რა საფუძველი ექნებათ ამ გვარ კაცებს, რომ შეშალონ და უგუნურ ნაწილს საზოგადოებისას უარი ათქმევინონ ამ შეერთებაზე. ისინი ერთ ხმით დაიწყებენ ყვირილს:

„ბატონებო, განა შეგვიძლიან ყველა იმერლებს, მეგრელებს და გურულებს ტფილისში წასვლა, როცა ამოსარჩევი გვეყოლება ბანკის მართველი, ან როცა ბანკის საჭიროება მოითხოვს არაჩვეულებრივ ყრილობას და ან მამულის დაგირავების დროს! ეს შეუძლებელი საქმეა! უფრო ზიანი და ხარჯი მოგვივა აქეთ-იქით ტფილისში თრევით, ვინემ სარგებლობა. ეს არ შეიძლება. მაგრამ კარგი, ვთქვათ შევუერთდით ქართველებს, მაგრამ ვინ გვაძლევთ პირობას, რომ ქართველები ჩვენ ფულებს არ შეგვიჭამენ, ისინი ხომ სულ ვალებში არიან კისრამდის სავსენი; მერე რა უნდა ვქნათ“!

ვნახოთ, რამდენათ საფუძლიანია ამგვარი მსჯელობა.

ჩემის ჰაზრით, ვისაც არ სურს ან არ შეუძლიან ყველა ბანკის შესახებ ყრილობაში წასვლა, შეუძლიანთ არ წავიდნენ. ამისთვის საჭიროა, რომ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობამ ამოირჩიოს საიმედო დეპუტატები ათი, ხუთმეტი ან ოცი და მათ მიანდონ იმ მოვალეობის შესრულება, რისთვისაც ყრილობა ანუ სესსია არის გახსნილი.

რადგანაც ყოველივე გადაწყვეტილება იქნება ხმის უმეტესობით (კენჭის ყრით), ამისათვის წინ-და-წინ უნდა დაიდვას კანონი რამდენი კენჭი უნდა ექნეს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას და რამდენი ქუთაისისას (ე. ი. ვისაც მონაწილეობა მიუღია ბანკის დაარსებაში). ამ ანგარიშით, ვთქვათ, ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობას ექნება ას ოცი კენჭი (ხმა). თუ კრებაში გასაგზავნათ ქუთაისის გუბერნიამ ათი დეპუტატი ამოირჩია, მაშინ თითო დეპუტატს ექნება თორმეტი კენჭი, თუ ხუთმეტი—რვა კენჭი და თუ ოცი—თითოს ექნეს ექვსი კენჭი. ამნაირათ კენჭის ცნობაში მოყვანაც და ყველა გადაწყვეტილობებისაც ძრიელ ადვილდება.

შესახებ მამულის დაგირავების დროს წასვლისა, ზარმაცს კაცს შეუძლიან ამასაც ასცილდეს. ამისთვის საჭიროა, რომ ქუთაისში გაიხსნას ბიურო (კანტორა). ყველა თხოვნა და სხვა და სხვა დოკუმენტები შესახებ მამულის დაგირავებისა შეუძლიანთ წარადგინონ ამ ბიუროში და ბიურო თვით გაგზავნის ტფილისის ბანკის სამმართველოში. ამ ბიუროს სხვა არავითარი საქმე არ ექნება, მხოლოდ წარდგენილი თხოვნები, დოკუმენტები და სხვა ქაღალდები ბანკისა და დასაგირავებელ ადგილ-მამულისა გაგზავნოს ტფილისში. კანტორისათვის საკმაოა ერთი კაცი და ჯამაგირიც ბევრი არ მოუნდება. ან სულ საუმჯობესო იქნება, რომ საზოგადოება უგუნურ ხარჯს ასცილდეს, ამისთვის ეს კანტორა თვით ქუთაისის დეპუტატთ სობრანიაში იქნება.

რაც შეეხება თვით ბანკების წესდებას, უნდა შეათანასწორონ, შეასწორონ, ხელახლად უნდა მიიღოს საზოგადოებამ და შემდეგ წარადგინონ დასამტკიცებლათ უმაღლეს მთავრობასთან.

როგორც ხედავთ, ძნელი არა არის რა. თუ დასამტკიცებელი საფუძლები საკმაო არ არის, თავს მითი ვიმართლებ, რომ ეს წერილი ინიშნება გაზეთისათვის და უნდა ვიქონიო სახეში გაზეთის სიდიდე და მკითხველის მოთმინება.

ვათავებ იმ იმედით, რომ განათლებული ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა და ყველა ვისაც სამშობლოს დღეგრძელობა და ბედნიერება მიაჩნია ცხოვრების უპირველეს მიზნათ, მიაქცევენ ამ აზრს ყურადღებასა.

პარიჟი, 2 აპრილს. დ. დ.

დღიური

□ ამას წინათ ჩვენს გაზეთში იყო გამოცხადებული, რომ ტფილისის უფროსი ნოტარიუსი უძნელებს ბანკისათვის გირაოს მოწმობის მიცემას იმ თავად-აზნაურთა, რომელთაც თავიანთი ადგილ-მამულის გენერალური პლანი არა აქვთ. იქვე იყო მოხსენებული, რომ ამ საქმის თაობაზე ზოგიერთ თავად აზნაურებმა აქაურს ოლქის სასამართლოში საჩივარი შეიტანეს. ეს საქმე ოლქის სასამართლომ ნოტარიუსის სასარგებლოთ გადასწყვიტა.

მაგრამ ახლა შევიტყვეთ, რომ საჩივარს უმაღლესს სასამართლო ინსტანციამდი მიუწევია და ამბობენ, ეს ინსტანცია ამ საქმეს სხვა ნაირის თვალით უყურებსო და იმედია, გადასწყვეტსო, რომ უგენერალურ პლანოთაც მიეცესთ იმ თავად-აზნაურებს გირაოს მოწმობა, რომელიც ბანკში მამულის დასაგირავებლად აუცილებლად საჭიროა.

□ ჩვენ შევიტყვეთ, ვითომც იმერეთის ბანკის თაობაზე პეტერბურღიდამ დეპეშა მოსულა ქუთაისში, რომელშიაც იწერებიან, რომ ფინანსთ მინისტრი დათანხმებულა იმერეთში საადგილ-მამულო ბანკის აუცილებლად საჭიროებაზე და ამასთანავე მიუღია უმთავრესი საფუძვლები წარდგენილის წესდებისა. ამასთანავე იწერებიან, რომ ეს წესდება ახლა ფინანსთ მინისტრმა სახელმწიფო რჩევაში გადასცა განსახილველად და დასამტკიცებელათ.

□ გასულ ორშაბათს, აპრილის 14-ს, ჩვენ დავესწარით ქუთაისის იქაური ქართული თეატრის მოყვარეების თამაშს. თამაშობდნენ ტრაგედიას—„მ ე დ ე ა ს“ და „ს ც ე ნ ე ბ ს ს ა პ ყ რ ო ბ ი ლ ე შ ი“. მართალი უნდა ვთქვათ, ის პირი ქების შესხმის ღირსი არ არის, რომელმანც ეს თხზულებები ამოარჩია ქუთაისის სცენაზე წარმოსადგენათ. „მედეა“ უაზრო ტრაგედია არ არის; მაგრამ სცენაზე წარმოდგენა, განსაკუთრებით ქუთაისის სცენაზე და ქუთაისის საზოგადოებისათვის, სწორეთ წინდაუხედავი საქმე იყო. ჩვენი საზოგადოება ჯერ ჯერობით მხოლოდ საცინლად და მხიარულად დროს გატარებისათვის დაიარება თეატრში. „მედეას“ წარმოდგენის დროს კი მხოლოდ ტირილი შეიძლება, და როგორც მოგეხსენებათ, იმერლებს ცხოვრების სცენაზედაც ეყოფათ სატირალი საგნები... „ს ც ე ნ ე ბ ი ს ა პ ყ რ ო ბ ი ლ ე შ ი“ სრულებით სცენისათვის არ არის დანიშნული. ყოველ დრამმულ თხზულებას დასასრული აგვირგვინებს და ამ სცენების დასასრული სრულებით თეატრისთვის არ არის გამოსადეგი.

თუმცა პიესები რიგიანად არ იყო არჩეული, მაგრამ მოთამაშეებმა მაინც თავიანთი ნიჭის გამოჩენა აქაც მოახერხეს. ეფ. კლდიაშვილისა „მედეაში“, ბაბიჭაძე და ბაქრაძე აკაკის სცენებში სწორეთ ხელოვნურად თამაშობდნენ.

□ უთიგო არ იქნება აქვე მოვიხსენოთ, რომ ქართულ სცენას იმერეთში საზოგადოთ უფრო მომეტებული თანამგრძნობი და ხელის მომმართავი ჰყავს, ვიდრე ტფილისში. სხვა არა იყოს რა, ისიც შენიშნვის ღირსია, რომ იქაური პარიკმახერი ბარსეგანი მუქთად ჰკისრულობს მუდამ ქართული წარმოდგენების დროს შრომას. რითაც შეუძლიან, იმით ეხმარება...

ამ კვირაში ხონს და ქულაშს უნდა ჰყოფილიყო ქართული წარმოდგენები.

□ ჩვენ ნამდვილად გავიგეთ, რომ უმაღლესს მთავრობას დაუმტკიცებია ტფილისიდამ ბაქომდი რკინის გზის პროექტი და ამას გარდა განკარგულება უნდა მოახდინონ, რომ ჯულფამდი გზის გამოკვლევა მოხდეს. ბაქომდი გზის გაყვანას, როგორც ისმის, ახლავე შეუდგებიან. ნამდვილად არ ვიცით ჯერ, რა მიმართულება მიეცემა ამ გზას, ე. ი. კახეთისაკენ გაივლის თუ ბანჯისაკენ. ამბობენ კია, რომ კახეთისაკენ გაივლისო.

„დროების“ კორრესპონდენცია

ოზურგეთი, 13 აპრილს

ერთს დროს ერთს მეცნიერს ეთქვა: საფეხური მომეცითო და დედამიწას ადგილიდამ დავანძრევო. ჩვენი მეცნიერები ეხლა ამას ამბობენ, რომ ოღონდ ადგილ-მამულის ჩივილი მოიშალოს და ჩვენი ხალხი ერთ საუკეთესო ხალხთაგანი შეიქნებაო.

მართლაც რომ ეგრეა. თუ იკითხავთ: რაზედ ჩივიან ჩვენი თავად-აზნაურობა? რაზედ მოდის ამოდენი აყალ-მაყალი და დავი-დარაბა? რა გვარი საქმეებით ავსებულა სამსაჯულოები?—გიპასუხებენ, რომ არც ერთმა თავადმა და აზნაურმა არ იცის, თუ რისი მფლობელია, ან რა უნდა იყოს მისი საკუთრება! ბევრი იმაზედაც დარწმუნებული არ არის, თუ მოწადინებული ადვოკატის ყბედობის შემდეგ შერჩება ის სახლ-კარი, რომელშიაც მის შთამავლობას ორისაუკუნე მეტი უცხოვრია. ყველანი დაშინებულნი და ხიზნებსავით მოავალზედაც დაუნდობელნი არიან.

თავად-აზნაურების მდგომარეობა თუ ეგრეთია, რა მდგომარეობაში უნდა იყვნენ გლეხები?

გლეხების მშველელი დღესაც მუდამი ლუკმის მომცემი მკლავია.

. . . .

წელს ცხრა წელიწადი შესრულდა მას მერმეთ, რაც გლეხები განთავისუფლდნენ. წელს მათ კანონი უფლებას აძლევს თავის მებატონეებს მოშორდნენ და აირჩიონ სხვა ადგილი საცხოვრებლათ იმ წესით, რომელიც მოხსენებულია 104, 105 და 106 მუხლში გლეხების სჯულდებაში. ეს კანონები აძლევენ სრულს უფლებას იმ გლეხებს, რომელთაც შეუსყიდიათ ხსნევარი გ ლ ე ხ თ ა თ ვ ი ს გ ა დ ა ჭ რ ი ლ ი ს მ ა მ უ ლ ი ს ა, გარდა „ს ა ს ა ხ ლ - კ ა რ ო ს დ ა მ ი ნ დ ვ რ ი ს მ ა მ უ ლ ი ს ა“, მოსცილდნენ თავიანთ მებატონეთა და ყოველ მათთან ვალდებულებას ასცილდნენ. მაშასადამე გლეხი, რომელსაც მუდამი სადავიდარაბო და საყიჭინო მამული ჰქონდა რომელსამე მებატონესთან, საფიქრებელია დასტოვებს ამ დამოკიდებულებას და აირჩევს ახალს ცხოვრებას და, უეჭველია, უფრო გააუმჯობესებს თავიანთ მდგომარეობას. მართლაც აგრე ხდება.

ეს მათთვის მინიჭებული უფლება იყო მიზეზი, რომ აი ამ ცოტა ხანში ერთმა სოფელმა შორაპნის სამაზროდამ საჩივარი შეიტანა გუბერნიის მმართველთან. როგორც ისმის, ეს საჩივარი უწესო ყოფილიყო და ეტყობოდა, რომ გლეხებს ვერ გაუგიათ—თუ რა უფლება მიენიჭათ მათ შემდეგ ცხრა წლისა; შეიძლება გლეხებს ეგონათ, რომ შეუძლიანთ მხოლოთ აიყარონ და მოსცილდნენ თავის მებატონეს. და სხვა არა რა ვალდებულება ურჩებათ ასასრულებლათ.. მაგრამ საქმე იმაში მდგომარეობს, რომ გლეხები უფრო მსურველნი არიან თავიანთ მებატონეებს მოშორდნენ, ვიდრე მებატონეები მათ.

შეძლებია, გლეხებს რომ ღონისძიება ჰქონდეთ ადგილის ყიდვისა, ეხლავე გაინთავისუფლებდნენ თავს სრულიად. მაგრამ სად არის ფული, სად შეუძლიანთ ეხლა მანეთი აბაზათ იშოვონ?

ამ საქმეს შემწეობა სჭირია; ეს მდგომარეობა დიდი საზიანოა მხარისთვის. ერთილა გვრჩება საიმედოთ: მმართებლობა დღეს ხედავს უფრო ნათლად—თუ რა საზიანოა გლეხების სიღატაკე სახელმწიფოსათვის. მაშასადამე გლეხების წელის გამართვა, ეხლა გლეხებისადმი სესხის მიცემა მეტად და მეტად სასარგებლოა.

(N)

რუსეთი

ქალაქ ბახმუტში (ეკატერინოსლავის გუბერნიაში) ზოგიერთ ფულიან კაცებს ქვა-ნახშირის მწარმოებელი საზოგადოების შედგენა განუზრახავთ. ეს საზოგადოება შემდეგი ოპერაციების დაწყებას აპირებს: 1) სხვა და სხვა ქალაქებში უნდა გამართოს ქვა-ნახშირისა და ანტრაციტის მაღაზიები; 2) შავი და აზოვის ზღვის ნაპირებზე და აგრეთვე საბერძნეთში და ოსმალეთში უნდა გამართოს კანტორები, საიდამაც მსურველთ ქვა-ნახშირის დაბარება შეეძლებათ; 3) რუსეთში და საზღვარგარეთ აგენტობა დაწესდება. მაგრამ ყველაზე უფრო ყურადღების ღირსი ის არის, რომ ეს საზოგადოება ისეთი „ქვა-ნახშირის ბანკის" გამართვას აპირებს, საიდამაც ამ მადნის გირაოთი შეიძლება ფულების გამოტანა. საზოგადოებას, როგორც ამბობენ, ერთი მილიონი და ნახევარი ექნება თავნი ფული.

ერთი რუსული გაზეთი გვაცნობებს, რომ ამ მოკლე ხანში პეტერბურღში ერთი საზოგადოება შესდგებაო, რომლის დანიშნულება იქნება, რომ ღარიბ მუშების შვილებს შეეწიოს—თუ სწავლაში და თუ სხვა მხრივ. სხვათა შორის საზოგადოებას ამ თავით ჰსურს, რომ ღარიბი მუშების შვილები ოსტატებსა და ნასწავლ ხელოსნებს მიაბაროს, რომ რამე ხელობა ისწავლონ და ამასთანავე იძულებული გ ხადონ იმათი ოსტატები, რომ უქმ დღეებში შკოლაში გაგზავნონ და წერა-კითხვა ასწავლონ.

ოქტომბრის პირველს იაროსლავეში სამეურნეო გამოფენა გაიხსნება, რომელზედაც განსაკუთრებული ყურადღება პირუტყვების გამოფენას ექნება მიქცეული.

უცხო ქვეყნები

საფრანგეთი. ვერსალის ნაციონალური კრება, როგორც იცით, ახლა დათხოვნილია და ამის გამო საფრანგეთის პოლიტიკური ცხოვრება მხოლოთ სხვა და სხვა პარტიების კრებებში და ბაასში მდგომარეობს. აპრილის 14-ს სხვათა შორის, რესპუბლიკელ დეპუტატებს ჰქონიათ კრება, რომელზედაც ბევრი დეპარტამენტებიდამ მოსული წიგნები წაუკითხავთ. ამ კორრესპონდენციიდგან ვტყობულობთ, რომ თითქმის საფრანგეთის ყოველი მხრიდამ იწერებიან, რომ ხალხი ძალიან კმაყოფილია რესპუბლიკური კონსტიტუციის მიღებაზედაო, ყველგან მშვიდობიანობა და მყუდროება ჰსუფევსო; რესპუბლიკური მმართებლობის დამკვიდრება სოფლის ხალხსაც ისე სასიამოვნოთ დაურჩა, როგორც ქალაქის ხალხსაო.

მხოლოთ ბონაპარტიელების ინტრიგები აღელვებს თურმე ზოგან საფრანგეთის პროვინციებს. მაგრამ იმედი აქვთ, რომ ამასაც მალე მოუღებენ ბოლოს, თუ კი მმართებლობამ კეთილ-გონიერება და ცოტა მხნეობა გამოიჩინა. ახლა მაინც ამ ბონაპარტიელების ინტრიგების ბოლოს მიღება მით უფრო ადვილია, რომ თვითონ ამ პარტიაში საშინელი უთანხმოება და განხეთქილება ჰსუფევს. რუერისა და ჟერომ ნაპოლეონის პარტია ისე გადამტერებულნი არიან, რომ ერთმანეთის სისხლს არ დაზოგვენ. პრინცი ნაპოლეონი ახლა სცდილობს თურმე, როგორმე მუშა ხალხის გული მოიგოს, სოციალისტური გაზეთის დაფუძნება ჰსურს პარიჟში და აგრეთვე მუშა ხალხისათვის განსაკუთრებული ბანკების გამართვა. ამგვარი საშუალებებით ჰსურს მიიმხროს მუშა; მაგრამ ნაპოლეონის ოინებს ახლა ვინ არ იცნობს.

საგაასო

პასუხი ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველს უ. ასათიანს

—

ქალყუმს რა მოკლავს?
—თავისი ენა.

მეგონა, სხვები მოგცემდნენ პასუხს თქვენს კითხვებზე და ამიტომ მე აქამდის გაჩუმდი. თქვენ და ზოგიერთებსაც გგონიათ, ვითომ მე უნდა ვიყო ის კორრესპონდენტი, რომელიც „დროების" რედაქტორს ატყობინებს ქუთაისის სასულიერო სასწავლებელზე სხვა და სხვა ამბებს. არა, დარწმუნდით, მე ჯერ სრულიად არა მიმიწერია რა (ცუდი კი ვქნი) თქვენზე და სასწავლებელზე და ეხლა მისთვის უნდა მოგცე პასუხი, უ. ასათიანო, რომ თქვენ გვეკითხებით და უსინიდისობა იქნებოდა ჩემის მხრით, რადგან ნამდვილი გარემოება ვიცი, პასუხი არ მოგცეთ და მეორეთ მისთვის, რომ კიდევ შეცდომაში არ შეხვიდეთ (კმარა, რაც შესცდით) და არ იფიქროთ, რომ თქვენზე რაც თქვეს, ტყუილი იყოს.

თქვენი პასუხი, რომელიც „დროების" № 32 არის დაბეჭდილი, ტყუილია. იმაში არის სულ სიტყვები, ცარიელი და უაზრო სიტყვები, ერთი თქვენი აზრი არ თქვენც არის დამყარებული საფუძველზე. ისე სწერთ, როგორც ერთი კორრესპონდენტი — მასწავლებელი, რომელიც ამბობს: „მერწმუნეთ, ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველს სასწავლებლის საქმე კარგათ მიჰყავს."

მაშ შევუდგები, დავაკმაყოფილო თქვენი კითხვები ფაქტებით და არა მარტო ცარიელი სიტყვებით.

„რა ძველი წესები მოკსპეთ ჩვენ სასწავლებელში?"

ეს არის თქვენი პირველი კითხვა.

აი, რა ძველი წესი: ის პირი, რომელსაც უნდა მასწავლებლის ადგილი დაიჭიროს სასწავლებელში, თხოვნას შემოიტანს სასწავლებლის სამართველოში; ამ თხოვნას გაარჩევენ წევრები სასამართლოისა და შემდგომ, მომეტებულის ხმის გადაწყვეტით და ნებადართვით, ადგილის მეძიებელი საშინჯ გაკვეთილს მისცემს და, თუ საშინჯი გაკვეთილი იქმნა დამაკმაყოფილებელი მოთხოვნილებისა, მაშინ ადგილი მიეცემა.

ახალი წესი, ე. ი. უ. ასათიანო, თქვენი წესი: ვინც უნდა იყოს მასწავლებლის ადგილის მეძიებელი, მხოლოდ თქვენ იცნობდეთ და ანსხვამ სიტყვით გაგაცნოთ, საშინჯი გაკვეთილი რა საჭიროა. სამართველოს წევრებს რათ უნდა ამ საგანზე კითხვა და ან რა საჭიროა ამაზე ბევრი შრომა?! „შედი და ასწავლე"—ეუბნებით. ეს ხომ ფაქტია! ამაზე არ იყო, რომ გიჩივლეს სამართველოს წევრებმა?

ძველი წესი: ყველა საქმის ქაღალდი სასწავლებლის სამართველოში წევრების თან დასწრებით განირჩევა; ჟურნალი შესდგება მომეტებულის ხმით. ამნაირათ შემდგარი ჟურნალი წარედგინება ყოვლად სამღვდელოს დასამტკიცებლად.

ახალი წესი: ზოგიერთი ქაღალდები იკარგება, სანამ საჩივარს არ შეიტანენ ყოვლად სამღვდელოს თან; ჟურნალი მომეტებულის ხმით რო შედგება, დახევენ და ბუხარში შეუძახებენ; ხანდის-ხან ჟურნალი შედგება ჩუმათ, უ. ზედამხედველი და საქმის მწარმოებელი ხელს აწერენ. სხვები ან რა საჭიროა? რათ უნდა შეაწუხონ? ამისთანა ჟურნალი წარუდგება ყოვლად სამღვდელოს, რომელიც, რა თქმა უნდა, არ მიიღებს და უკანვე აბრუნებს. ეს თუ ფაქტი არ არის, ჰკითხეთ თეიმურაზ ლეჟავას, ბლაღოჩინს ღამბაშიძეს და ზაქარია ჭეიშვილს.

ძველი წესი: მასწავლებელი ერთს საგანს, რომელიც უფრო კარგათ იცის, ასწავლიდა ყველა კლასებში და თუ გაჭირვება იყო, მეორე საგანსაც (როდესაც მასწავლებელი არ იყო).

ახალი წესი: ერთი მასწავლებელი სამს და ოთხ საგანს ასწავლის. როდესაც შეიძლება, რომ ერთმა მასწავლებელმა ასწავლოს ერთი მისგან ამორჩეული საგანი ყველა კლასებში, რატომ და რა სასარგებლოა ერთი საგნის ასე დაკუწვა.

ძველი წესი: სამსაჯულო ოთახში როცა შეიკრიბებოდნენ მსაჯულები, სჯიდნენ საგანზე წესიერათ და კრძალვით, არ აქცევდნენ ყურადღებას პირადობას.

ახალი წესი: ზედამხედველი თავის თანაშემწეს სხდომის დროს ლანძღავს „უშვერი სიტყვებით." —

პირველი კითხვის [illegible] კმარა.

2). „რა განხეთქილება არის აქაურ მასწავლებლებთ შორის, რომლები მათგანი არიან ერთმანეთთან წაკიდებული და ანუ რაზედ?"

მე არ მგონია, ისრეთი მკითხველი ჰყვდეს „დროებას", რომ წაიკითხოს თქვენი პასუხი და იქიდგან ცხადათ ვერ დაინახოს, რომ მასწავლებლებთ და თქვენ შორის არის უკმაყოფილება.

ერთმა კორრესპონდენტმა რომ სთქვა: „უ. ზედამხედველი ამიერი რომ არის, იმიტომ ემტერებიანო", თქვენ თუ მაგ აზრის თანახმა არა ხართ, რატომ არა სთქვით რა ამ საგანზე? ამ კორრესპონდენტს — მასწავლებელს ხომ უნდა ჰქონდეს უკმაყოფილება ზოგიერთ მასწავლებლებთან? იმას უკმაყოფილება რომ არ ჰქონოდა, არც „ამიერ-იმიერობას" იტყოდა. არ ეთვლი საჭიროთ ვსთქვა, რომელ მასწავლებელს რომელთან აქვს უკმაყოფილება.

რა სწერია, უ. ასათიანო, ან რა გადაწყვეტილება დასდო ყოვლად სამღვდელომ იმ რაპორტზე, რომლით ერთი წევრთაგანი თხოულობს დათხოვნას წევრობისაგან? ამ რაპორტის შინაარსს რო გამოგვიცხადებდეთ, მაშინ შეიტყობს საზოგადოება, ვინ არის ჩვენში ყალბი.

3). „რა ამბავი იყო ზედამხედველსა და ერთ მასწავლებელს შუა, რომელიც ჯერეთ ეპისკოპოსთან არის გასარჩევათ და მალე პალატაში გადავა."

ნუ თუ არ გახსოვსთ, უ. ჭეიშვილის საჩივარი? განა შეიძლება ესრეთი ტყუილის თქმა?! როგორ დაგავიწყდათ, რომ უ. ჭეიშვილის საჩივრის თაობაზე ეპისკოპოსიდგან ორი მოწერილობა მიიღეთ, რომლითაც გთხოვენ პასუხს? თუ ეს ნამდვილი არ არის, ჰკითხეთ მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწეს და ეგრეთვე პროკურორს, რომლებთაც იციან ეს გარემოება.

უ. ასათიანი ამბობს: „არა რცხვენიათ აგრეთი სიცრუის თქვენთან მოწერისთვის? სიმართლე გითხრათ, არ მეცალა და არც ეხლა მცალია მე მათთან სალაპარაკოთ."

რა ცალი გკიდიათ, უ. ასათიანო, რას აკეთებთ? თქვენ წინამოადგილეს, რომელსაც არც ნადზირატელი, არც ეკონომი და არც ფელდშერი ჰყავდა, რომელიც ყველა საქმის ქაღალდებს თვითონ სწერდა და კვირაში ექვს გაკვეთილს აძლევდა,—თუ კი იმას ჰქონდა დრო პასუხის გასაცემათ, თქვენ, რომელსაც გაკვეთილები ნაკლები გაქვსთ, ნადზირატელი, ეკონომი, ფელდშერი, საქმის-მწარმოებელი გყავთ, რომელიც ქაღალდებს შავათ და თეთრათ სწერს და ხევს? რათ ვერ მოიცალეთ?

„ძალამს მოვკიდე ხელი არა იმისათვის, რომ ჩვენი ეზოს ნაგავი გამოვიტანო სასოფლოზედ და დაწვრილებით შევატყობინო მკითხველ საზოგადოებას ნამდვილი საქმე."

ჩვენც ამას ვამბობთ, რომ ნამ-

დვილს მალავთ და სიცრუეს გვატყობინებთ. რათ არ გინდათ გარეთ გამოტანა ნაგავისა, ან ვინ დაჰყარა ეს ნაგავი სასწაველებელში? თუ თქვენი წინამოადგილეს დროისაა, ამდენ ხანს უნდა გაგეწმინდათ და თუ თქვენი დროისაა, მაინც გაწმენდა თქვენი საქმეა,—მეტი რა მოხელე ხართ, რათ არ სწმენდთ, რათ გინდათ ნაგავი, ხომ აგაყროლებსთ?

სხვა საქმეების განხილვაში მე არ შევალ: იმათ დროა გამოაჩენს....

ს. ძიმისტარიშვილი

11 აპრილი, ქუთაისი

განცხადებანი

თ ფ ი ლ ი ს ი ს ს ა ვ ა ჭ რ ო

ბ ა ნ კ ი

აცხადებს, რომ ამ 1875 წლის 21 აპრილიდგან, ვიდრე ცელილების მოხდენამდის, ასის თავზე (%) შემდეგის ზომით იღებს და იხდის სარგებელისა:

ი ღ ე ბ ს

1) სესხზედ იმ სარგებლიანი (%%) ქაღალდების გირაოთ.
ა) რომელთაც სახელმწიფო ბანკის ბანყოფილება იღებს. . $6\frac{1}{2}$%
ბ) რომელთაც სახელმწიფო ბანკის ბანყოფილება არ იღებს. $7\frac{1}{2}$%

2) სპეციალურს ხელად მიბარებულს ფულში (текущій счетъ).
ა) სარგებლიანი ქაღალდებით უზრთნველს-ყოფილს. 7%
ბ) ვექსილებით უზრუნველ-ყოფილს. 8%
გ) იმ სოლო-ვექსილების დაცელაში, რომელნიც სარგებლიანი ქაღალდებით უზრუნველ-ყოფილნი არიან. 7%

3) ვექსილების დაცვლაში (учетъ векселей)
ა) სამი თვით. 7%
ბ) ექვსი თვით. . . . . $7\frac{1}{2}$%
გ) ცხრა თვით . . . . . $8\frac{1}{2}$%

4) საქონლის გირაოში
ა) იმ საქონელში, რომელიც გზაშია, ან თფილისში მოდის ან აქედან გაგზავნილია. 9%
ბ) იმ დოკუმენტების განაღდებაში, რომელნიც ვაჭრულ ანგარიშებზე არიან დაფუძნებულნი. . . . . $8\frac{1}{2}$%
გ) იმ საქონელზე, რომელიც თფილისში აწყვია. . . . . 7% *)

ი ხ დ ი ს

1) ხელად მიბარებულ ფულში 5%
2) მოთხოვნამდის მიბარებულში. 4%
3) ექვსი თვით. 5%
4) წლიდამ ორ წლამდისინ 6%
5) ორი წლის მომეტებულში ბანკის მმართებლობასთან მოსრიგებით.

*) ამას გარდა კომისიის ფული—$\frac{1}{8}$ %-დამ 1 %-მდი

სამი თვის ანგარიში

ოქისის გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობისა

1-ს იანვრიდამ 1-ს აპრილადამდის 1875 წელსა.

—

1-ს იანვარს 1875 წ. ანგარიში იყო:

წევრებად ირიცხებოდნენ. . .	288	კაცი
1) საწილო ფული. .	1582	მ. 60 კ.
2) სასარგებლოდ შემოტანილი.	40	„ —
3) სესხები		
ა) პირველ დაწყებითი	1500	„ —
ბ) შემდგომ აღებული	2110	„ —
4) სათადარიგო თანხა. .	3	„ 3 კ.
5) წმინდა მოგება. .	27	„ $30\frac{1}{2}$ კ.
ჯამი. .	5265	მ. $43\frac{1}{2}$ კ.
1) გასესხებული ახალი ვადა მიუცემელი .	4685	„ —
2) ტფილისის საზოგადოებაში საერთო-ერთო ნდობისა. .	155	„ 30
3) ქასსაში ნაღდი ფული	392	„ 30
ჯამი. .	5232	მ. 60 კ.

1-ს იანვრიდამ 1-ს აპრილამდის მომხდარა შემდეგი ვაჭრობა:

წევრებად ირიცხებიან.	352	კაცი *)

ა) შემოსავალი

1) საწილო ფული შემოვიდა	1174	მ. 60 კ.
2) სარგებელი დაჭერილი გასესხების დროს ახალი ვადა მიუცემელისა.	176	მ. 44 კ.
3) სარგებელი დაჭერილი გასესხების დროს ახალი ვადა მიცემულისა.	7	მ. 20 კ.
4) სესხი შემოვიდა ახალი ვადა მიუცემელი	1895	მ. —
5) ჯარიმა აღებული.	3	მ. 75 კ.
6) ამხანაგობამ აიღო ვალი ტფილისის საბანკო დაწესებათაგან და კერძო პირისაგან	2500	მ. —
ჯამი. .	5756	მ. 99 კ.

ბ) გასავალი

1) გასესხდა.	2934	მ. —
2) სარგებელი დაუბრუნდათ ვადაზედ წინ გადახდილი ნასესხებისა.	2	მ. 25 კ.
3) ვალები გადიხადა ამხანაგობამ. . . .	2500	მ. —
4) სარგებელი მიცემული ამხანაგობისაგან ნასესხებზედ	71	მ. 77 კ.
5) სამმართველოს ხარჯი	89	მ. $54\frac{1}{2}$
ჯამი. .	5597	მ. $56\frac{1}{2}$
ქასსაში არის ნაღდ ფულათ.	159	მ. $42\frac{1}{2}$
ერთიანი ჯამი. .	5756	მ. 99 კ.

სამმართ. გამგენი { მ. ქადაგოვი, გ. ოსეფოვი

*) ამ რიცხვიდამ გამოირიცხნენ 5 წევრი, ვადაზედ ვალის გადუხდელობისათვის.

თფილისის სამკურნალო

(4 აპრილის სახსოვრად)

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 9 საათიდამ ვიდრე 1 საათამდი

ორშაბათს: ექიმი მინკევიჩი—ხირურგიის, პარჟნიცკი — ყმაწვილების, ქალებისა და ვენერიული ავათმყოფებისათვის, მარალევიჩი და ლისიცევი—შინაგანი ავათმყოფობისა.

სამშაბათს: პარჟნიცკი — ყმაწვ, ქალებისა და ვენერიული ავათმყოფობისათვის

ხუთშაბათს: პარჟნიცკი ყმაწ., ქალებისა და ვენერიული ავათმყოფობისა. მარკაროვი და ლისიცევი—შინაგანი ავათმყოფობისათვის.

პარასკევს: მინკევიჩი—ხირურგიისა, პარჟნიცკი—ყმაწვ., ქალებს და ვენერ. ავათმყოფ., ლისიცევი—შინაგანი ავათმყოფობისათვის.

შაბათს: მარკაროვი და ლისეცევი შინაგანი ავათმყოფობისათვის.

ბამოვიდა „ვეფხვის ტყაოსანი“ გამოცემული არსენ ქალანდაძის და ამხანაგებისაგან და ისყიდება თ ფ ი ლ ი ს ში: შახ-აზიზოვის, ენფიაჯიანცის და ვართანოვის წიგნის მაღაზიებში და უ. ეფვთიმე ხელაძის სტამბაში. ქ უ თ ა ი ს ში: ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში, ი. ლარიონ მიქელაძესთან და სასულიერო სასწაველებელში. ო ზ უ რ გ ე თ ში: ანტონ ნაკაშიძესთან.

ფ ა ს ი ყ ო ვ ე ლ გ ა ნ ა თ ი შ ა უ რ ი

ამას გარდა ამათთანავე ისყიდებიან პაწაწინა წიგნები: ბ ე ჟ ა ნ ი ა ნ ი, ქ ა ლ-ვ ა ჟ ი ა ნ ი, ა ლ ე ქ ს ი ა ნ ი, წ მ ი ნ დ ა მ ა რ ი ნ ს ცხოვრ ე ბ ა და ა რ ს ე ნ ა ს ლ ე ქ ს ი, გ ა მ ო ც ე მ ულ ი იმავე პირთაგან.—ფ ა ს ი თ ი თ ო შ ა უ რ ი.

კუკიაში, ნიკოლაევის ქუჩაზე, ისყიდება 236 ოთხ-კუთხი საჟენი მიწა, რომელიც ჩინოვნიკის ცოლს ეკატერინა მნოვსკაიას ეკუთვნის.

მ ს უ რ ვ ე ლ თ შეუძლიანთ მ ი მ ა რ თ ო ნ უფროს პოლიციმეისტრის კანცელარიის ქვეშ, ნოტარიუსის რჩეულოვის გვერდით, მ ი ხ ა ი ლ მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი ს მ ა ღ ა ზ ი ა ში.

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	11	8	8	—	-			
მცხეთა. . .	18	18	10			68	-	38
გორი . .	91	39	1	43	2	40	1	23
სურამი . .	1	52	4	30	3	92	2	18
ბეჟათუბანი	3	45			4	42	2	46
ყვირილა .	6	49			5	81	3	23
ქუთაისი. .	7	55			6	75	3	75
სამტრედია .	9	2			7	73	4	29
ახ.-სენაკი .	10				8	57	4	76
ფოთი. . .	11				9	75	5	42
ფოთი . .	7	38						
ახ.-სენაკი.	9	11			1	18	-	66
სამტრედია.	10	12			2	6	1	14
ქუთაისი .	11	17			3	4	1	69
ყვირილნ.	12	38			3	98	2	21
ბეჟათუბანი	3	27	ღამე		5	33	2	96
სურამი . .	4	57	12	30	5	84	3	24
გორი . .	7	23	3	31	7	36	4	9
მცხეთა . .	9	52			9	8	5	4
თფილისი .	10	49	8	2	9	75	5	42

ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ:
ოდესისკენ—ორშაბ. დილის 8 საათ.
სტამბოლს—კვირაობით დილას.
ბ) სოხუმიდამ:
ფოთს—სამშაბათს, ღამით.
ოდესას—კვირას, გათენებისას.

ფოთიდამ:	I		II		III	
სოხუმამდი .	4	„	3	„	1	„
ქერჩამდი. .	20	50	15	50	5	„
ტაგანროგ.	34	„	27	„	8	60
ოდესამდი.	38	„	30	„	9	60

ტელეგრაფი

	მ.	კაპ
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
გორს, დუშეთს, სიღნახს		50
როსტოვს ოდესას მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში.	3	75

ფოსტა

ა) თ ფ ი ლ ი ს ი დ ა მ:
სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს — პარასკ და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. ქახეთს — სამშ. და შაბ.

ბ) ქ უ თ ა ი ს ი დ ა მ:
თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ. ზუგდიდს—ოთხშაბ.

გ) ზ ო რ ი დ ა მ.
ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფ ო თ ი დ ა მ:
ყოველგან—ყოველ დღე, კვირას გარდა.

წიგნის გაგზავნა რუსეთში:	კაპ
ლია წიგნის	5
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	10

ბირჟა

	მან.	კაპ
პეტერბურგი, 14 აპრილს.		
ერთი მანეთი ლირს:		
ლონდონში 33 პენსი.	—	84
პარიჟში 349 სანტიმი.	—	89
მსკონტი (სარგებლისფასი)	6	—
ბანკის ბილეთი 5%	98	75
მოგებიანი (პირველისესხი)	198	25
მოგებიანი (მეორე სესხი)	193	50
ბირაოს ფურცლები:		
თფილ. სააზნ. ბანკისა.		
ხერსონის ბანკის ($5\frac{1}{2}$)	87	25
მოსკოვის (5%). . .	86	50
ა ქ ც ი ე ბ ი:		
ოდესის სავაჭრო ბანკის.	223	—
ფოთი-თფილ რკინ. გზის	133	—
შავიზღვის ცეცხ. გემების	560	—
ქაკაზის და მერკურის. .	168	—
პირვ. საზღვევ. საზოგ.	665	—
პეტერბ. საზღვევ. საზ.	263	—
მოსკოვის საზღვევ. საზ.	257	65

მაზანდა

	მან	კაპ
თფილისი, 17 აპრილს.		
პური შორაგალის ფთ.	1	20
ქერი ფუთი. . . .	—	60
ბამბა ერევნისა, ფუთი .	4	60
— ამერიკისა, ფუთი. .	6	65
გაპინტილი ბამბა ფთ.	8	—
მატყლი თუშური ფთ.	6	—
— თარაქამისა ფთ. .	4	50
აბრეშუმი ნუხური გრ.	2	60
ქონი, ფუთი. . .	4	40
ქონის სანთელი ფუთი.	5	60
სტეარინის სანთელი, ფ.	10	20
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	60
— ცხვრისა, ლიტრა. .	—	80
სპირტი, ვედრო. . .	7	—
შაქარი, კარგი ფუთი .	8	50
— ფხვნილი ფუთი . .	6	90
ყავა გრგვალი ფუთი .	19	—
ზეთი ქუნჯუთისა ფთ.	6	49
ოქრო $\frac{1}{2}$ იმპერიალი. .	5	91

Дозволено цензурою. Тифлисъ, 20 Апрѣля 1875 г. Типографія Меликова и К°. გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.